



სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 იანვარი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/08

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების
ერთწლიანი გეგმის (2024 წ.) დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 24 0000044688, 18.01.2024) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დადგინა:

- დამტკიცდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი გეგმა (2024 წ.) წინამდებარე დადგენილების N1 დანართის შესაბამისად.
- წინამდებარე დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს.
- დადგენილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს (რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს), რექტორის მოადგილებს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
- დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფან ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაში